პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ივნისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 113 (9524) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ღია ჩემპიონატი ბადმინტონში

## ალმა-ათაში შეხვედრამდე

**თბილისის** ჩოგბურთის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ბადმინტონში. შეჯიბრებაში, რომელიც საკავშირო კალენდარშია შეტანილი, საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები მონაწილეობდნენ.

ქალთა ერთეულთა თანრიგის ფინალში გავიდნენ სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ალა არშუკოვა და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი მარიეტა ელიაზარიანი. სტუმარმა გაიმარჯვა ორ პარტიაში — 11:5, 11:9, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ბათუმელმა მაია დარჩიამ სძლია შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს გოგონებში ინგა ბერიძეს.

საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა ფინალური შეჯიბრება ქვეყნის „მეორე ჩოგანს“, 11-გზის ჩემპიონ ანატოლი სკრიპკოსა (მინსკი) და ევროპის ექსჩემპიონს ჭაბუკთა შორის, სსრ კავშირის ნაკრების წევრ, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ დავით კავილაძეს შორის. თავიდანვე წინ იყო სტუმარი — 7:0, მაგრამ ქართველი ოსტატი დაეწია მას და დაწინაურდა — 13:9, თუმცა საბოლოოდ გამოცდილებამ გაიტანა თავისი — 18:14. მეორე პარტიაში კვლავ ა. სკრიპკომ გაიმარჯვა — 15:11 (დ. კავილაძე თამაშის დროს დაშავდა და წყვილთა ასპარეზობაში აღარ გამოსულა).



ქალთა შეჯიბრება წყვილთა თანრიგში მასპინძლებს შორის წარიმართა: ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისელები ელიკო და თინა მარგველაშვილები — თბილსელები ბერიძე და არშუკოვა. ორივე პარტიაში თბილისელებმა გაიმარჯვეს.

ვაჟთა წყვილებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას ა. სკრიპკომ და ვ. შმაკოვმა აჯობეს (ფინალში მოუგეს ოდესელებს იგორ ჩესნიცკისა და ოლეგ კრავჩუნს). მესამე ადგილზე გავიდნენ ბათუმელი მალხაზ მჟავია და თბილისელი გია ჯანელიძე.

შერეულ თანრიგში ლაურეატები გახდნენ ვ. სიმაკოვი და ა. არშუკოვა, რომლებმაც ფინალში ანგარიშით 15:12 და 15:13 მოუგეს სკრიპკოსა და ბერიძეს. მესამე ადგილზე არიან ნონა სვირიდენკო (თბილისი) და მირზა ორუჯევი (ბაქო).

შემდეგი დიდი სტარტი ბადმინტონისტებს სექტემბერში აქვთ, როდესაც ალმა-ათაში ქვეყნის ჩემპიონატი გაიმართება.

**სურათზე: ქალთა წყვილებში გამარჯვებულნი — ინგა ბერიძე (მარცხნივ) და ალა არშუკოვა.**

სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალბურთში

## თბილისის „დინამო“— ნახევარფინალში

**წყალბურთელთა** თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრებისთანავე ჩვენი დინამოელები ვილნიუსში გაემგზავრნენ, საკავშირო თასის გათამაშების წინასწარ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. აქ მათთან ერთად გამოდიოდა თბილისის ასკ, მოსკოვის „უნივერსიტეტი“, ლენინგრადის „ბალტიკა“, ტაშკენტის „მეხნატი“ და კაუნასის „ბანგა“.

„დინამომ“ დაამარცხა „მეხნატი“ (10:6), „ბანგა“ (13:11), „ბალტიკა“ (9:7), ასკ (13:6) და დამარცხდა მხოლოდ „უნივერსიტეტთან“ — 4:7. საბოლოოდ დინამოელებმა 10-დან 8 ქულა მოაგროვეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს.

რაც შეეხება თბილისის ასკ-ს, იგი „დინამოს“ გარდა, „ბალტიკასთან“ და „უნივერსიტეტთან“ დამარცხდა, „ბანგასთან“ და „მეხნატთან“ შეხვედრები კი ფრედ დაამთავრა.

ნახევარფინალური შეხვედრები თბილისში ოქტომბერში გაიმართება, 17 ივნისს კი ჩვენი წყალბურთელები საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურში ჩაებმებიან — თბილისში შეხვდებიან სევასტოპოლის შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის, ხარკოვის „ლოკომოტივის“, ლენინგრადის „ბალტიკისა“ და მოსკოვის „უნივერსიტეტის“ გუნდებს.

## საიუბილეო ტურნირზე

**ახლახან** ტურინში გამართული ევროპის მოკრივეთა 26-ე ჩემპიონატის დღეებში ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „თრაკიას“ დაარსებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო ტურნირი. აქ ოთხი პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. გამარჯვებულის კვარცხლბეკზე დადგნენ ლენინგრადელი მოკრივე ვ. ანტონოვი (უმჩატესი წონა), თბილისელი ხვიჩა ხდრიანი (ქვემსუბუქი წონა), მოსკოველი ი. არსინი (მეორე ქვესაშუალო წონა) და ვილნიუსელი მ. სადოვსკი (ქვემძიმე წონა).

• • •

რიჩმონდში (აშშ, ვირჯინიის შტატი) გამართულ საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ნაკრებთა მორიგ ტრადიციულ მატჩში, რომელშიც 75 კგ-ზე მძიმე წონის მოკრივეები გამოდიან, ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ეს ასპარეზობა ამ ორი ქვეყნის ფედერაციების მოლაპარაკების შედეგად 1975 წლიდან ტარდება და ჯერჯერობით ანგარიში ჩვენი ქვეყნის მოკრივეებს მიჰყავთ.

## პირველ ადგილზე დაუმარცხებლად

**ბუდაპეშტში** ჩატარდა მოსწავლე ძიუდოისტთა საერთაშორისო გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის სამი ნაკრები, ავსტრიისა და საქართველოს გუნდები.

პირველ წრეში ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებმა უნგრეთის მესამე ნაკრები დაამარცხეს — 7:0, მერე ავსტრიელ თანატოლებს აჯობეს—6:0. შემდეგ კი ჯერ უნგრეთის პირველ ნაკრებს მოუგეს — 7:0 და ბოლოს მასპინძელთა მეორე ნაკრები დაამარცხეს — 6:1. ქართველ ჭაბუკებს ამ ოთხმა გამარჯვებამ გუნდური პირველი ადგილი მოუტანა. მეორე ადგილი წილად ხვდა უნგრეთის პირველ ნაკრებს, მესამე — ავსტრიის კოლექტივს.

სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისთვის ჩვენი გუნდის წევრს გია გაჩეჩილაძეს (83 კგ) მიეკუთვნა.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მერაბ სარქისაშვილი, ზურაბ სამუკაშვილი (ორივე — ახმეტა), გია კირაკოზაშვილი (საგარეჯო), ბესიკ გიორგაშვილი, მამუკა თურმანიძე, ნუკრი ჯალაბაძე (სამივე — გორი), ვეფხია ავალიანი (რუსთავი) და გია გაჩეჩილაძე (ზესტაფონი)

### მთავრობის ჯილდო გადაეცა

როგორც გაუწყეთ, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

მთავრობის ეს ჯილდო 10 ივნისს, კრემლში გადაეცა მსოფლიო ჩემპიონს. გარი კასპაროვს დაჯილდოება მიულოცა და მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლაში წარმატება უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პ. ნ. დემიჩევმა.

— ეს ჩემი პირველი ორდენია. ვეცდები კვლავაც გავამართლო სახელმწიფოს დიდი ნდობა. — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გარი კასპაროვმა.

საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა

## ნახევარი გზა გავლილია

**მეექვსე** ეტაპით დამთავრდა ამიერკავკასიის საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის ნახევარი. ბოლო ეტაპზე ველოსიპედისტები თბილისი-კოდა-ასურეთი-პანტიანი-კოჯრის მიმართულებით ასპარეზობდნენ. სულ დასაძლევი იყო 110-კილომეტრიანი რთული ტრასა. ამ მანძილის გავლას ველორბოლის მონაწილეებმა დაახლოებით სამსაათნახევარი მოანდომეს.

ეტაპი რბოლის ერთპიროვნულმა ლიდერმა კონსტანტინე ბანკინმა (კუიბიშევი-I) მოიგო. პრიზიორთა შორის ორი ახალი გვარი გამოჩნდა. ერთი გახლდათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მინსკელი ანდრეი სიტნოვი, მეორე — სომხეთის წარმომადგენელი გაგიკ სარქისიანი. დრო სამივე პრიზიორს ერთნაირი ჰქონდა — 3:27.50.

მეექვსე ეტაპი, როგორც მოსალოდნელი იყო, კუიბიშევის პირველი გუნდის წარმომადგენლებმა მოიგეს — 10:22.30. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოლიმპიური მომზადების ცენტრ „იველიას“ ველოსიპედისტები (10:23.50) და მინსკის წარმომადგენლები (10:23.50).

ექვსი ეტაპის ჯამში პრიზიორთა სამეული პირად ჩათვლაში ასე გამოიყურება: 1. კონსტანტინე ბანკინი — 15:26.53, 2. ვიქტორ დემიდენკო (კუიბიშევი-I) — 15:27.45, 3. რამის გაიმეტდინოვი (საბჭოთა არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი) — 15:31.37. გუნდური ჩათვლა: 1. კუიბიშევი-I — 46:31.18, 2. კუიბიშევი-II — 47:10.46, 3. ოლიმპიური მომზადების ცენტრი „ივერია“ — 47:18.06.

ველორბოლა, როგორც უკვე მოგახსენეთ, სომხეთის ტერიტორიაზე განახლდება. შეჯიბრება აქაც ექვს ეტაპადაა დაყოფილი და 15 ივნისს დამთავრდება.

**ანზორ ჭიჭინაძე,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



**თბილისის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ მატჩის დროს სტადიონზე კვლავ გამოვიდნენ ნორჩი მძლეოსნები, რომლებიც საქართველოს ტელევიზიის პრიზის მოსაპოვებლად იბრძვიან. შეჯიბრების მომდევნო ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს ქუთაისის ლენინისა და თბილისის ოქტომბრის რაიონების, აგრეთვე ლანჩხუთისა და ბორჯომის გუნდებმა.**



სურათზე ხედავთ 100-მეტრიან დისტანციაზე ჭაბუკთა გარბენის მომენტს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**ა. წ. 19 მაისს „ლელოში“ დაიბეჭდა წერილი: „ბავშვთა ჭადრაკშიც ბევრი პრობლემა გვაქვს...“ წერილის განხილვის შემდეგ საქართველოს სპორტსახკომმა მოამზადა და რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სპორტკომიტეტებს გაუგზავნა კითხვარი, საქართველოს სპორტის ოსტატობის ყველა კანდიდატის რეგისტრაციისა და შექმნილ მდგომარეობაზე ობიექტური აზრის შესაქმნელად.**

**ამის შემდეგ საქართველოს სპორტსახკომი გამოსცემს ბრძანებას რესპუბლიკაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდების მინიჭების საკითხის მოსაწესრიგებლად.**

**ჯ. ბაგრატიონი,**
**საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე.**

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირების წინ

## მასპინძლობს იუგოსლავია

**ჭადრაკის** მოყვარულებმა იციან, რომ ივლისის მეორე ნახევარში დაიწყება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირები. როგორც შევიტყვეთ, შეჯიბრებებს უმასპინძლებენ იუგოსლავიის ქალაქები სმედერევსკა-პალანკა და ტუზლა. მართალია, ტურნირების შემადგენლობა ჯერ მთლიანად არ არის ცნობილი, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეების ძირითადი მეტოქეების ვინაობა ვიცით და ამიტომაც გვსურს გაგაცნოთ ისინი. შეგახსენებთ, რომ თითოეულ ტურნირში 16 მოჭადრაკე ითამაშებს.

**სმედერევსკა-პალანკის ჯგუფი** (პირობითად ასე დავარქვათ) სტარტს 15 ივლისს აიღებს. აქ ითამაშებენ ნონა გაფრინდაშვილი, ირინა ლევიტინა, მარტა ლიტინსკაია, ზოია ლელჩუკი, ტატიანა ლემაჩკო (შვეიცარია), ილდიკო მადლი (უნგრეთი), ელიშკა კლიმოვა, მარგარეტ ვოისკა (ორივე — ბულგარეთი), ასელა დე არმასი (კუბა), ქრისტინ ნიუბერგი (შვეცია), ნავა შტერნბერგი (კანადა), ინა იზრაილოვა (აშშ), არკელი (ინგლისი)....

**ტუზლას ჯგუფი** (17 ივლისი): ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, სვეტლანა მატვეევა, ლიდია სემიონოვა, გულნარა სახატოვა (სსრ კავშირი), პია კრამლინგი (შვეცია), აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი), ლუ ში ლანი (ჩინეთი), მარია ივანკა (უნგრეთი), სიუზან მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია), ნინა ჰოიბერგი (დანია), კადილკარი (ინდოეთი), ჟინკა ფრომეტა (კუბა), კანელა (ესპანეთი), ტრებერგი (გფრ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშები

# ხუთჭიდელთა „დავა“ დამთავრდა

**თბილისში ჩატარდა საქართველოს იუნიორ და მოზარდ ხუთჭიდელთა პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც უწყებათა გუნდები მონაწილეობდნენ. პარალელურად ტარდებოდა რესპუბლიკის ჭაბუკთა მეორე თამაშები.**

სარბიელზე ერთმანეთს ხვდებოდნენ „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ 2-2 გუნდი და აფხაზეთის „დინამოს“ ნაკრები. თითოეული კოლექტივის ღირსებას 3 ჭაბუკი და 2 იუნიორი ხუთჭიდელი იცავდა, მათგან 4 საუკეთესო შედეგი იძლეოდა ჩათვლას. ამ საინტერესო შეჯიბრებაზე რატომღაც არ ჩანდნენ ქუთაისელი სპორტსმენები, რომლებიც ადრე მსგავს პირველობებში სისტემატურად გამოდიოდნენ.

პირველ დღეს შეჯიბრების მონაწილეები საფარიკაო ბილიკებზე სციდნენ ძალას. მოზარდთა თამაშებში 1140 ქულით გაიმარჯვა თბილისელმა დინამოელმა იგორ დავიდოვმა. გუნდურ პირველობაში, რისთვისაც თბილისისა და სოხუმის წარმომადგენლები იბრძოდნენ, დაწინაურდნენ მასპინძლები —3.035 ქულა.

იუნიორთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში წინ იყო ვ. ლორთქიფანიძე — 1070 ქულა (თბილისი „დინ.“ I), მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი ნ. შამოიანი იყო — 1060. 930 ქულით მათ კვალდაკვალ არმიელი რ. ლოხიშვილი მიჰყვებოდა.

სროლასა და ცურვაში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დაწინაურდა იუნიორი ლოხიშვილი, რომელმაც რბენაში ყველაზე მეტი ქულა — 1304 მოაგროვა. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ლოხიშვილი ცხენოსნობაში სამეულშიც ვერ მოხვდა, მან ლიდერობა შეინარჩუნა და 5.516 ქულით ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ნ. შამოიანს — 5.464, მესამე — მის თანაკლუბელ დიმიტრი გორდიენკოს — 5.080.

რაც შეეხება ცხენოსნობას, რომელსაც ეს საინტერესო ასპარეზობა უნდა დაეგვირგვინებინა, მაყურებლები გაწბილებულნი დარჩნენ იმის გამო, რომ მხედრებმა სათანადო მომზადება ვერ გამოავლინეს. იქნებ ეს იმის ბრალიც არის, რომ მათ მოუმზადებელი მერნები ერგოთ საასპარეზოდ...

მოზარდთა შორის ყველას ბურევესტნიკელმა გენადი დოლინსკიმ აჯობა — 4.951. ასპარეზობაზე საერთო ყურადღება მიიქცია სოხუმელმა ჭაბუკმა ალექსეი ბელოუსოვმა. იგი სულ ერთი წელია, რაც სპორტის ოსტატის გ. გოგუაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს თანამედროვე ხუთჭიდში. ამ შეჯიბრებაზე ალექსეიმ რამდენიმე გამოცდილი თანატოლი მეტოქე ჩამოიტოვა და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი თბილისელ იგორ დავიდოვს („დინამო“) ხვდა წილად — 4.850 ქულა. საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო“-I — 20.325 ქულა, 2. „ბურევესტნიკი“-I — 18.178, 3. „დინამო“-II — 15.608.

რესპუბლიკის მოზარდთა მეორე თამაშებში გამარჯვებისათვის თბილისის ნაკრებს 340 ქულა შეემატა, აფხაზეთისას — 267.



რევაზ ლოხიშვილი.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ლიდერი შეიცვალა

**ლაშა** ჯანჯღავა არ ხუმრობს! იგი დაჟინებით მიიწევს წინ და თავისი ლამაზი, ოსტატური თამაშით ხიბლავს ჭადრაკის მოყვარულთ. ლაშამ IV ტურშიც გაიმარჯვა, ამჯერად მან დავით ჩაჩიბაია დაამარცხა. თანაბარ ბრძოლაში ჩაჩიბაიამ პაიკი დაკარგა და ახალგაზრდა ოსტატმა ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა. იგი ახლა 3,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს რესპუბლიკის ჩემპიონატში.

კახა შალამბერიძისა და გოჩა ტყებუჩავას პარტია ორმხრივი მწვავე ბრძოლის შემდეგ გადაიდო. შალამბერიძეს ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ მაინც ყაიმია მოსალოდნელი.

დამარცხდა ტურნირის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ ტაბატაძე. დიმიტრი გედევანიშვილთან შეხვედრაში მან უპირატესობა მიიღო, მაგრამ პაიკის მოგების იდეამ გაიტაცა და მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშის ქვეშ მოჰყვა. გამოცდილმა ოსტატმა პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მიხეილ კრასენკოვსა და ბესიკ ხეცურიანს თითქმის თანაბარი პოზიცია ჰქონდათ, მაგრამ კრასენკოვმა თანდათან უპირატესობა მოიპოვა და ეტლებით დაიკავა ცენტრალური ვერტიკალები. ხეცურიანი იძულებული გახდა ხარისხი შეეწირა, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო და მეტოქეს დანებდა.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მანაგაძე-ბალათუროვი — 1:0, გიორგაძე-ეფიმოვი — 1:0, სტურუა-გაფრინდაშვილი — 1:0.

გადადებულ პარტიებში იგორ ეფიმოვი თამაშის განუახლებლად დანებდა თამაზ ტაბატაძეს (I ტური), პაატა გაფრინდაშვილი და ნუკრი მანაგაძე (I ტური) 73-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. დაზავდნენ კახა შალამბერიძე და გოჩა ტყებუჩავაც (IV).

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ლაშა ჯანჯღავა — 3,5 ქულა, გია გიორგაძე, გია ბალათუროვი — 3-3, მიხეილ კრასენკოვი, ნუკრი მანაგაძე, თამაზ ტაბატაძე — 2,5-2,5.

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

## წერილები რედაქციას

# შევქმნათ „სპორტული ჰექტარები“

### გამოხმაურება წერილზე: „სოფელი—საქართველოს ფალავანი“

**ძვირფასო რედაქცია!**

თქვენს გაზეთში 3 ივნისს გამოქვეყნდა წერილი სათაურით „სოფელი — საქართველოს ფალავანი“. წერილში წამოჭრილი საკითხი უთუოდ დააფიქრებს ყველას, ვისაც სოფლის ბედი აწუხებს, ახალგაზრდობა უყვარს და მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. წუთით დავფიქრდეთ. ჩვენ, ვინც ამდენი რამ გადავიტანეთ და ისტორიულად მოკლე დროში ცხოვრების ყველა სფეროში ასე წინ გავიჭერით, რა გაგვიჭირდა ისეთი, რომ სოფლად სპორტული მოედნები არ გვქონდეს? ვინ დაიჯერებს, რომ არ შეიძლება ყველგან გამოინახოს მარტივი სპორტული მოედნისათვის გამოსადეგი ადგილი? აქ სხვა რამ უნდა ითქვას: სოფლის თავკაცები, რომლებსაც არ სურთ ახალგაზრდებს დაეხმარონ, თავს იმით იმართლებენ, — მიწის ყოველი გოჯი აღრიცხვაზეა, როგორც სამეურნეო ფართობი, და სხვა დანიშნულებით მისი გამოყენების უფლება არა გვაქვსო. თუ სადმე ახალგაზრდობამ „ზედმეტი სითამამე“ გამოიჩინა . და ბურთის სათამაშო ადგილი თავად შეარჩია, სოფლის ხელმძღვანელები უმალვე ზედ ტრაქტორს მიაგდებენ და გადახნავენ. იმას კი არავინ უფიქრდება, რომ ასეთი ძალმომრეობა რწმენას უკარგავს ახალგაზრდობას, და ისიც იქნებ სწორედ მაშინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, მიატოვოს მშობლიური სოფელი. რა ქნას, ლოდინი რას მისცემს, სიჭაბუკე ხომ აღარ განმეორდება. ვინ იცის, მართლაც რამდენი ხალასი ტალანტი რჩება გამოუვლენელი. დღეს ვინ არ განიცდის ჩვენი ფეხბურთის კრიზისით გამოწვეულ გულისტკივილს. მიზეზი ის არის, რომ არათუ ქალაქებში, სოფლებშიც კი შემცირდა მოედნების რიცხვი. საჭიდაო ორმოების მოწყობას რაღა უდგას წინ? ადრე მეც ვჭიდაობდი, მამაჩემიც მოჭიდავე იყო. მზად ვარ ქართული ჭიდაობა სამუშაოსაგან თავისუფალ დროს სოფლის ბიჭებსაც ვასწავლო, ჩემნაირი ენთუზიასტები სხვაგანაც გამოჩნდებიან, ოღონდ ხელი შეგვიწყონ.

ამ წერილს იმიტომაც ვწერ, რომ საჭიროა სოფლის თავკაცებს მეტი უფლებები მივცეთ, რათა თავისუფლად გამოყონ ადგილი სპორტული სარბიელისთვის. ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს „სპორტული ჰექტარები“ და საქმე ისე უნდა აეწყოს, რომ წლის ბოლოს სასოფლო-სამეურნეო მოსავალთან ერთად „სპორტული მოსავალიც“ მოიწიონ. დარწმუნებული ვარ, საშუალო მოსავლიანობა „სპორტულ ჰექტარებზე“ ძალიან მაღალი იქნება და შორსაც გაუთქვამს სახელს კოლმეურნეობას თუ საბჭოთა მეურნეობას.

**თეიმურაზ ედილაშვილი.**

სოფელი ბრეთი,
ქარელის რაიონი.

## მადლობა თაოსნებს

**პატივცემულო რედაქციავ,**
ძალიან ნასიამოვნები დავრჩით 23 მაისს რესპუბლიკის მოედანზე გამართული ჭადრაკის ერთდროული თამაშის სეანსით. დიდ მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს ამ ინიციატივისთვის.

თუ ასეთი მასობრივი საჭადრაკო სეანსი წელიწადში ორჯერ მოეწყობა, თუნდაც გაზაფხულზე და შემოდგომაზე, ან თბილისქალაქობაზე, დარწმუნებული ვარ, იგი ბევრ მოსწავლესა და სტუდენტს გაუორკეცებს ჭადრაკის სიყვარულს. ტიტულოვან მოჭადრაკესთან დამარცხებაც კი სასიამოვნო მოსაგონარია.

**ლერი ჩუბინიძე.**

რუსთავი.

**ძვირფასო რედაქცია!**

**1986 წლის ივლისიდან ვმუშაობდი ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის ფიზკულტურის მეთოდისტად ნახევარ განაკვეთზე. ჩვენს სოფელში 572 კომლია. 1987 წლის მარტიდან შტატების შემცირებასთან დაკავშირებით მეთოდისტის ნახევარი განაკვეთი გაუქმდა. გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება.**

**ვ. ჩხეიძე.**
**სოფ. ფუთი,**
**ზესტაფონის რაიონი.**

**პასუხი:** თუ თქვენთან დამტკიცებული იყო ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი, მისი გაუქმება არ შეიძლებოდა. სადირექტივო მითითებით, ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი იმ თანამდებობათა ნუსხაში შედის, რომლებზედაც შტატების შემცირება არ ვრცელდება.

# „დინამო“ ყველას საფიქრალია

**რედაქციამ** ამას წინათ ერთხელ უკვე მიმოიხილა სარედაქციო ფოსტის ის ნაწილი, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივრების პოზიციას ეხებოდა. წერილების უმეტესობა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტად არასახარბიელო მდგომარეობას ეხება და არცაა გასაკვირი, რომ ჩვენი გუნდის მდიდარი ტრადიციებით, მისი საუკეთესო წარმატებით განებივრებული და ამაღლებული გულშემატკივარი კანონიერ გულისწყრომას გამოთქვამს საყვარელი გუნდის ასეთი სატურნირო მდგომარეობის გამო. ჩემპიონატის სტარტზე დინამოელთა ზედიზედ რამდენიმე მარცხმა უარყოფითი რეაგირება გამოიწვია ფეხბურთის გულშემატკივრებში, რაც სარედაქციო ფოსტაშიც აისახა.

რედაქციამ წერილები გააცნო „დინამოს“ ხელმძღვანელობას და, პირდაპირ ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ წერილში აშკარა უკმაყოფილება, ხშირ შემთხვევაში ზღვარგადასული ტენდენციურობაც დაურიდებლად არის ხოლმე გამოკვეთილი, გუნდის ხელმძღვანელები, იზიარებენ გულშემატკივრების შეშფოთებას. ზოგიერთი მკითხველი გაზეთსაც ბრალს სდებს. ალბათ, დაგვერწმუნებით, რომ მოჭარბებული ემოციების აყოლა კარგს არაფერს მოგვიტანდა და არც მოგვიტანს, მით უფრო, რომ თვით დინამოელთა კოლექტივი ყოველნაირად ცდილობს თავი დააღწიოს მძიმე კრიზისს.

„შახტიორთან“ თამაშმა რწმენის იმედი ჩაუნერგა გულშემატკივრებს. ამის შესახებ გვწერენ, გვირეკავენ, დეპეშებიც მოდის და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკიდან. ცხადია, ყველას სურვილი ერთია: „დინამომ“ რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი ჩამორჩენას, გამოასწოროს მდგომარეობა, გვიჩვენოს მისთვის ჩვეული თამაში. როგორც „შახტიორთან“ შეხვედრამ ცხადყო, „დინამოს“ აქვს ამის პოტენციური შესაძლებლობები.

ახლა გაგაცნობთ მათს გვარებს, ვინც გულთან ახლოს მიიტანა დინამოელთა ბედი და თავად დარწმუნდებით, თუ როგორ უყვართ ფეხბურთი და როგორ გულშემატკივრობენ „დინამოს“ გუნდს ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. აი, ისინიც: ა. დგებუაძე, რ. სვანიშვილი, ნ. მათიაშვილი, გოცირიძე და ვარდიაშვილი, ვ. მარუაშვილი, ნ. ნაჭყებია, ვ. ხუბუტია, ი. მდივანი, ნ. მარტიაშვილი, დ. ჯახელიძე, ზ. ხუნჯუკაშვილი, ს. ქარაული, ბ. ლობჟანიძე, დ. ბაქრაძე, გ. ჭავჭანიძე, ტ. ელიზბარაშვილი, თ. გაგუა, გ. ებრალიძე, ვ. ჭინჭარაული, ზ. ქადარია, ჯ. ლომსაძე, ჯ. მელოშვილი, ო. ომიაძე, ლ. ბარბაქაძე, ჯ. კაშია, ვ. დოდელია (ყველანი — თბილისიდან), დ. ნაჭყებია (ზუგდიდი), ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ინსპექციური კონტროლის ლაბორატორიის ინჟინერ-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლები, ზუგდიდის ტექნიკური აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ბიუროს თანამშრომლები, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, ო. ისაკაძე (ამბროლაურის რაიონის სოფ. კრიხი), ნ. გრიგალაშვილი (ხაშურის რაიონის სოფ. ტაშისკარი), ტ. მამალაძე (ბათუმი), გ. ბალავაძე (რუსთავი), რ. ბანცური (ქ. ორჯონიკიძე), რ. ქიშმარია (გალი), დ. მამალაძე (ჩოხატაური), მ. გორდილაძე (ხულოს რაიონის სოფ. სხალთა), ს. ბერიძე (ახალციხე), ზ. მალულარია (რიაზანი), ნ. ბერიაშვილი (თელავი), გ. კობერიძე (პიატიგორსკი), გ. კაკაბაძე (ქობულეთის რ-ნის სოფ. ზედა ულიანოვკა), ა. კოხრეიძე (ქუთაისი), მილორავა (ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირი), ს. სუხაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, სოფ. კახი), სტუდენტთა ჯგუფი ქ. ობნინსკის ატომური ენერგეტიკის ინსტიტუტიდან, გ. კვაშალი (ბათუმი), ს. წურწუმია (გულრიფშის რაიონის სოფ. ზემო ფშაფი), ჯ. მონიავა (ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათი), ი. ყალიჩავა (მახარაძის რაიონის სოფ. შრომა), გულშემატკივართა ჯგუფი შუახევის რაიონიდან, ა. ბალიშვილი, ა. ანანიძე, ლობჟანიძე, კოლაძე, დონდუაძე (ქობულეთი), ზ. ახრახაძე (სოხუმი), რ. რეხვიაშვილი, მ. კალანდია (სოხუმი).

ყველა ავტორს „ლელოს“ რედაქციისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი მადლობას მოახსენებს.

# ზეზვაობა ქვემო ალვანში

**ამას** წინათ ქვემოალვანელებმა ზეზვაობა იზეიმეს. ეს ტრადიციული სახალხო დღესასწაული, რომელიც ქართველთა სახალხო გმირის ზეზვა გაფრინდაულის ხსოვნას ეძღვნება, ყოველ წელიწადს მაისის ბოლო კვირა დღეს იმართება. იმ დღეს ქვემო ალვანში მრავლად შეიკრიბნენ ახმეტის რაიონის სოფლებიდან და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ფეხბურთის სტადიონზე. ზეიმი დაიწყო თეატრალური წარმოდგენით. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ მხედრებს წინ მიუძღოდა თორ-აბჯარში ჩამჯდარი ზეზვა გაფრინდაული. მხედრიონმა სტადიონს შემოუარა და სოფელ ლალისყურისაკენ აიღო გეზი. ქვემო ალვანისა და ლალისყურის შესაყარზე სტარტი აიღო დოღმა, რომელშიც ოცდაათი მხედარი მონაწილეობდა. ფინიშამდე, სტადიონის შესასვლელთან რომ იყო მოწყობილი, 3500 მეტრი ყველაზე სწრაფად დუისელმა მუხდან მარგოშვილმა განვლო. სწორედ მას გადაეცა ალვანელი მეცხვარეების მიერ დაწესებული მთავარი პრიზი.

შემდეგ მოეწყო მასობრივი შეჯიბრება მშვილდოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლო. ასპარეზობდნენ თვითნაკეთი მშვილდებით. სამიზნეებად გამოფენილი იყო თუშური ჩითები, ქუდები, წინდები და სხვა სუვენირები.

ზეიმის სპორტული ნაწილი დამთავრდა შეჯიბრებით ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ათობით ფალავანმა მიიღო მონაწილეობა. ჯერ ასპარეზობა ჩატარდა წონითი კატეგორიების მიხედვით. სხვადასხვა წონაში გაიმარჯვეს დუისელმა ირაკლი ქავთარაშვილმა, თენგიზ მარგოშვილმა და მალხაზ ბორჩაშვილმა, ფიჩხოვანელებმა ელგუჯა თიგიშვილმა და გურამ ძაღოშვილმა; მატანელმა ბაადურ ქიზიყელაშვილმა. შემდეგ მოეწყო ორი ტურნირი ფალავნების გამოსავლენად (72 კგ-მდე და 72 კგ-ს ზევით). 72 კგ-მდე წონაში ფალავანი გახდა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი სოფელ ფიჩხოვანიდან გიორგი ბაგაური. 72 კგ-ს ზევით ყველა მეტოქე დაამარცხა სპორტის ოსტატმა გურამ ძაღოშვილმა (ფიჩხოვანი). გამარჯვებულებს პრიზები გადაეცათ.

ზეზვაობაზე სპორტული შეჯიბრებების მოწყობაში სოფლის ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახმეტის სპორტკომიტეტმა და „კოლმეურნის“ რაისაბჭომ.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

ახმეტა — ქვემო ალვანი.

# სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

**გუშინ** შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის 4 მატჩი:

**„დინამო" კ. — „ქაირათი" 1:1**

**„მეტალისტი" — „დინამო" მნ. 0:1**

**„ტორპედო" — „შალგირისი" 1:1**

**„არარატი" — „დინამო" მ. 2:0**

## დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** უმაღლესი ლიგის დუბლიორთა საკავშირო გათამაშების მატჩში თბილისის „დინამომ" უმასპინძლა დნეპროპეტროვსკის „დნეპრს".

მატჩი დამთავრდა „დნეპრის" გამარჯვებით — 3:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცაავამ.

დინამოელთა რიგებში ამ დღეს გამოდიოდნენ: მუხაშავრია, ფირცხალავა, თეთრაძე, წიქლაური (ფიფია), მალანია, აფციაური, სვანაძე, კორღალიძე (ავსაჯანიშვილი), ჯიშკარიანი, ცაავა, მიქაშავიძე.

## XII ტურის სტატისტიკა

**გთავაზობთ 6 და 7 ივნისს გამართული ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის შეხვედრების სტატისტიკურ მონაცემებს:**

**„ტორპედო" — „დინამო" (მინსკი) 0:1 (0:0).** მასპინძელთა კარში ბურთი 47-ე წუთზე გაიტანა დერკაჩმა.

დუბლიორები — 0:0.

**„დინამო" (კიევი) — „ზენიტი" 1:0 (1:0).** გოლი მე-10 წუთზე გაიტანა მიხაილიჩენკომ.

გააფრთხილეს ზენიტელი დავიდოვი.

დუბლიორები — 3:0.

**„სპარტაკი" — „ქაირათი" 2:1 (0:0).** ორივე ბურთი გაიტანა სპარტაკელმა ჩერენკოვმა, ერთი—ვოლგინმა.

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელი სალიმოვი.

დუბლიორები — 2:0.

**„ნეფთჩი" — „დინამო" (მოსკოვი) 2:1 (1:0).** ბაქოელთაგან ბურთები გაიტანეს აჰმედოვმა და სულეიმანოვმა, დინამოელთაგან — კოლივანოვმა.

გააფრთხილეს დინამოელი სკლიაროვი.

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

**„მეტალისტი" — „შალგირისი" 1:0 (0:0).** ბურთი გაიტანა პანჩიშინმა.

გააფრთხილეს „მეტალისტის" ფეხბურთელი აჯოევი.

დუბლიორები — 0:0.

**„არარატი" — ცსკა 3:0 (1:0).** ერევნელმა აშ. ხაჩატრიანმა 2 ბურთი გაიტანა, სარქისიანმა — ერთი. ამავე სარქისიანმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

დუბლიორები — 2:3.

● **თბილისის** „დინამომ" დონეცკის „შახტიორთან" გამარჯვებით სსრ კავშირის ჩემპიონატებში თავისი მონაწილეობის ისტორიაში 600-ე გამარჯვება მოიპოვა.

● **საკუთარ** მინდორზე პირველი მარცხი განიცადა მოსკოვის „ტორპედომ".

## I ლიგა

**გუშინ** გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები შინ თამაშობდნენ. აი, ამ მატჩების შედეგები: „ტორპედო" (ქუთაისი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 0:0, „დინამო" (ბათუმი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 0:2.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„არმაზი" (მცხეთა) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლი: ქომეთიანი („კოლხეთი").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „იმერეთი" (ქუთაისი) 0:1. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლი: ჰუმბურიძე („იმერეთი").

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს ქუთაისელი ფეხბურთელები დ. ქაროსანიძე და მ. თევზაძე, ხოლო უხეში თამაშისთვის — მათი თანაკლუბელი დ. ჰუმბურიძე.

გააფრთხილეს, აგრეთვე, დინამოელი მ. ჯიქია, რომელმაც განზრახ ითამაშა ხელით.

**„სულორი" (ვანი) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: გეფერიძე, პაიკიძე („სულორი"), ლამბაშიძე („ივერია").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ვანელი ფეხბურთელი რ. კანკაძე.

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დურუჯი" (ყვარელი) 4:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ბენდელიანი, კვირკველია, ახალაია, გოგუა („სამეგრელო"), სანადირაძე, მამულაშვილი („დურუჯი").

**„ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (გაგრა) 5:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: შონია, გერგელი, ჩიქობავა-3 („ეგრისი"), კვარაცხელია, რაგანიანი („დინამო").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლი: გაბისონია („ამირანი").

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 0:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჯაშიაშვილი, ბაქრაძე („კახეთი").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:1. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი).** გოლები: სვანაძე, გაბიჩვაძე („შადრევანი"), ახალკაცი („ქართლი").

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს „ქართლის" ფეხბურთელი ი. ახალკაცი.

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:1. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: ბართია-2 („სალხინო"), ხუბეჯიშვილი („სპარტაკი").

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ვ. ჯიოევი.

**„მერცხალი" (მახარაძე) — „სქური" (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლი: როყვა („მერცხალი").

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:0. მსაჯი ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: სიუკაევი, დათუნაშვილი.

### II ჯგუფი

**I ქვეჯგუფი.** „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:0, უნივერსიტეტი (თბილისი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 0:2, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0:2, „თუშეთი" (ქვემო ალვანი) — „მიონი"-35 (თბილისი) 5:2, „ქიზიყი" (სიღნაღი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 3:0, სპი-„დინამო"-3 (თბილისი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:0, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „სამგორი" (გარდაბანი) 1:1.

**II ქვეჯგუფი.** „განთიადი" (დმანისი) — „ავტომობილისტი" (გორი) 1:0, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „მეფრინველე" (კასპი) 2:1, „მესხეთი" (ახალციხე)— „ვარძია" (ასპინძა) 1:1, „მარაბდა" (კოდა) — „არაგვი" (დუშეთი) 0:0, „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „კოლმეურნე" (მარნეულის რ-ნი) 1:0, „აბული" (ახალქალაქი) — „თრიალეთი" (წალკა) 2:0, „თორი" (ბორჯომი) — „ალგეთი" (მარნეული) 0:0, „ბაგიათი" (ჯავა) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:2, „მეფრინველე" (კასპი) — „განთიადი" (დმანისი) 6:1, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „მეფრინველე" (კასპი) 2:1.

**III ქვეჯგუფი.** „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) — „ქიმიკოსი" (ამბროლაური) 2:0, „იმერეთი" (წულუკიძე) — „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) 3:0, „მაღაროელი" (ჭიათურა) — „მამისონი" (ონი) 4:2, „ჰოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 1:2, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ხვამლი" (ცაგერი) 1:0, „ზანა" (აბაშა) — „მეშაქრე" (აგარა) 2:0, ხდკ (სამტრედია) — „იბერია" (ქარელი) 3:0.

**IV ქვეჯგუფი.** „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 2:1, „ნარინჯი" (გონიო) — „ალიონი" (გალის რ-ნი) 1:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „კოლხეთი"-2 (ფოთი) 1:1, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „სუბტროპიკი" (სოხუმი) 4:3, „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „მზიური" (გალი) 1:2, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „განთიადი" (ცხაკაია) 3:2, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „დვაბზუ" (მახარაძე) 2:2.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

**მდგომარეობა 11 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი" | 17 | 12 | 2 | 3 | 28-13 | 26 |
| „სამეგრელო" | 17 | 9 | 7 | 1 | 29-13 | 25 |
| „მერცხალი" | 17 | 9 | 7 | 1 | 24-9 | 25 |
| „კოლხეთი" | 17 | 10 | 3 | 4 | 25-13 | 23 |
| „სქური" | 17 | 9 | 4 | 4 | 29-15 | 22 |
| „სალხინო" | 17 | 7 | 8 | 2 | 23-16 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. | 17 | 8 | 5 | 4 | 25-15 | 21 |
| „სულორი" | 17 | 8 | 5 | 4 | 15-13 | 21 |
| „დინამო" გ. | 17 | 6 | 7 | 4 | 20-19 | 19 |
| „სპარტაკი" | 17 | 7 | 4 | 6 | 28-23 | 18 |
| „ამირანი" | 17 | 7 | 3 | 6 | 16-22 | 17 |
| „ეგრისი" | 17 | 6 | 5 | 6 | 24-23 | 17 |
| „მეტალურგი" | 16 | 7 | 2 | 7 | 22-20 | 16 |
| „დინამო" ზ. | 16 | 6 | 4 | 6 | 20-14 | 16 |
| „საპოვნელა" | 16 | 6 | 3 | 7 | 20-29 | 15 |
| „იმ."-„დინ".-2 | 13 | 5 | 5 | 3 | 21-16 | 15 |
| „კახეთი" | 16 | 5 | 3 | 8 | 27-28 | 13 |
| „ქართლი" | 17 | 5 | 3 | 9 | 20-23 | 13 |
| „მადნეული" | 15 | 4 | 5 | 6 | 21-18 | 13 |
| „დურუჯი" | 17 | 3 | 4 | 10 | 12-24 | 10 |
| „იმერეთი" | 17 | 3 | 4 | 10 | 18-37 | 10 |
| „არმაზი" | 17 | 3 | 3 | 11 | 11-28 | 9 |
| ახ. საფ. სკ. | 17 | 3 | 0 | 14 | 14-40 | 6 |
| „ივერია" | 17 | 1 | 2 | 14 | 11-32 | 4 |

## SOS



**რესპუბლიკის** საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებში ისევ და ისევ არღვევენ წესრიგს, უდისციპლინოდ, უღიერად იქცევიან ფეხბურთელები, ზოგიერთი მათგანის საქციელი შორს სცდება საბჭოთა სპორტსმენისთვის დადგენილ ეთიკურ ნორმებს.

ერთ-ერთი ასეთი მეტად მძიმე დარღვევა, იურიდიული ენით რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა სულ ახლახან, 31 მაისს.

მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუში ამ დღეს შედგა II ჯგუფის IV ქვეჯგუფის გუნდების კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „დვაბზუმ" მიიღო ჩოხატაურის „ბახმარო". მატჩს მსაჯობდა რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი ზ. მილჩენკო, მას ეხმარებოდნენ I კატეგორიის მსაჯები ა. სამხარაძე და კ. ლორთქიფანიძე (სამივე — სოხუმი).

მაგრამ არბიტრმა ვერ შეძლო თამაშის დამთავრება, იგი იძულებული იყო 88-ე წუთზე შეეწყვიტა მატჩი. ამ დროისთვის „ბახმარო" თამაშს იგებდა ანგარიშით 3:2, გუნდის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა წესი დაარღვია და მსაჯმა სტუმრების კარში 11-მეტრიანი დანიშნა. ჩოხატაურელმა ფეხბურთელებმა არბიტრის გადაწყვეტილება არასწორად, უკანონოდ მიიჩნიეს, გარს შემოეხვივნენ ზ. მილჩენკოს და ყოვლად დაუშვებელი „ილეთებით" ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ მასზე, ვადაეთქმევინებინათ პირვანდელი გადაწყვეტილება. მსაჯმა პრინციპულობა გამოიჩინა, იგი თავისაზე მტკიცედ იდგა და გადაწყვეტილებაც არ შეცვალა. ეს იუკადრისეს „ბახმაროს" ფეხბურთელებმა თ. ძნელაძემ და ა. მეჩხიამ, რომლებმაც იქვე, საფეხბურთო მინდორზე, საქვეყნოდ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა, ჩოხატაურელ ფეხბურთელთა დაშოშმინება უკვე ვეღარც მათმა მწვრთნელმა გ. თოდრიამ შეძლო. ზ. მილჩენკომ მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელების დახმარებით მოახერხა მინდვრიდან გასვლა, ამ ფეხბურთელთა თანხლებით შეაღწია გასახდელს და თამაში აღარ გააგრძელა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ყოვლად არანორმალური, უმსგავსი ამბავი სადღაც მიყრუებულ ადგილას მოხდა, ფეხბურთელებს იქ არც კონტროლის გამწევი ჰყავდათ, არც მეთვალყურე, მაგრამ ეს ასე არაა, ამ აღვირახსნილი ხულიგნობის დამსწრენი იყვნენ ჩოხატაურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ჩხიკვაძე, პარტიის მახარაძის რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკი თ. ხარაიშვილი, დვაბზუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. ღლონტი და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ტ. მახარაძე. სტადიონზე არ იყვნენ წესრიგის დამცველები, რადგან შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები მატჩის თაობაზე არავის გაუფრთხილებია, სტადიონზე მყოფმა ოთხმა სახალხო რაზმელმა კი ვერ შეძლო წესრიგის დამყარება.

ამ ყოვლად უმსგავს დარღვევაზე იმსჯელა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ და შესაბამისი დადგენილებაც გამოიტანა: **ჩოხატაურის „ბახმაროს" ფეხბურთელთა მოქმედება მიჩნეულ იქნას საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელ საქციელად, გუნდს ამ მატჩში წაგება ჩაეთვალა.**

**ჩოხატაურელ ფეხბურთელებს თ. ძნელაძესა და ა. მეჩხიას მინდორზე ჩადენილი ხულიგნური საქციელისთვის საერთოდ აეკრძალათ ფეხბურთის თამაში ოფიციალურ შეჯიბრებებში.**

**მახარაძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების წინაშე საკითხი დაისვა თ. ძნელაძისა და ა. მეჩხიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.**

**„ბახმაროს" მწვრთნელს გ. თოდრიას კოლექტივში სასწავლო-საწვრთნელი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლის გამო გამოეცხადა სასტიკი საყვედური.**

**გუნდის მიმართ კონტროლის შესუსტებისთვის ჩოხატაურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დ. ჩხიკვაძეს გამოეცხადა საყვედური.**

**დვაბზუს სტადიონი დისკვალიფიცირებულია მომდევნო 2 კალენდარული მატჩით და პირობით — 1987 წლის ბოლომდე.**

**სპორტსახკომის კოლეგიამ ცნობად მიიღო, რომ საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ 20 ივნისამდე უნდა შეისწავლოს ჩოხატაურის „ბახმაროში" სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, გუნდის ფინანსური საქმიანობა და შესაბამის ზომებს მიმართოს.**

**რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებს, ფეხბურთის ფედერაციებს დაევალათ რესპუბლიკურ პირველობაზე მონაწილე საფეხბურთო კოლექტივებში განიხილონ რესპუბლიკის სპორტსახკომის აღნიშნული დადგენილება და ქმედითი ღონისძიებები გაატარონ ფეხბურთელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, დისციპლინის განსამტკიცებლად, გამოიყენონ აღმზრდელობითი მუშაობის ყოველგვარი საშუალება, პროგრესული ფორმები და მეთოდები, მკაცრი ზომები მიიღონ იმ ფეხბურთელთა მიმართ, რომლებიც წესრიგის დარღვევაში არიან შემჩნეული.**

## სსრ კავშირის თასზე



**საბჭოთა** კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ჩაატარა 1987-88 წლების საკავშირო თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა.

გათამაშების სტარტზე მონაწილე საქართველოს 5 გუნდიდან ბრძოლას გააგრძელებენ ქუთაისის „ტორპედო", სოხუმის „დინამო" და ფოთის „კოლხეთი".

ოცდამეთორმეტედფინალის ეტაპზე სამივე ჩვენს გუნდს სტუმრად მოუწევს თამაში. ქუთაისის „ტორპედო" მოსკოვში შეხვდება „კრასნაია პრესნიას", სოხუმის დინამოელები ორჯონიკიძეში შეხვდებიან „სპარტაკს", ხოლო ფოთის „კოლხეთი" ვოლგოგრადში ითამაშებს „როტორთან".

წილისყრის სხვა წყვილები ასეთია: „დაუგავა" (რიგა) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), „ნივა" (ტერნოპოლი) — „კრივბასი" (კრივოი როგი), „ატლანტასი" (კლაიპედა) — „კოლოსი" (ნიკოპოლი), „ტორპედო" (ლუცკი) — სკა „კარპატი" (ლვოვი), „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ავანგარდი" (კურსკი), „შინიკი" (იაროსლავლი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი), „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) — „სოკოლი" (სარატოვი), სკა (დონის როსტოვი) — „ურალანი" (ელისტა), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „კოტაიკი" (აბოვიანი), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „კუზბასი" (კემეროვო), „ფახთაქორი" (ანდიჟანი)— „გეოლოგი" (ტიუმენი), „ნეფტიანიკი" (ფერგანა) — „პამირი" (დუშანბე), „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ხიმიკი" (ჯამბული).

მატჩები 25 ივნისს გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

უმაღლესი ლიგის გუნდები თასის გათამაშებაში ჩაებმებიან მეთექვსმეტედფინალიდან. ამ ეტაპზე და მერვედფინალშიც მეტოქეები 2-2-ჯერ შეხვდებიან ერთმანეთს — შინ და სტუმრად.

**საფრანგეთის** ქალაქებში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელსაც „იმედების ტურნირს" უწოდებენ (ფეხბურთელთა ასაკია 21 წლამდე).

საბჭოთა ფეხბურთელებს პირველი შეხვედრა საფრანგეთის გუნდთან ჰქონდათ ქ. ტულონში. მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. იმავე „ა" ჯგუფში ინგლისის ნაკრებმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო მაროკოს გუნდის დამარცხება — 2:1. „ბ" ჯგუფში პირველ ორ შეხვედრაში ასეთი შედეგები აღინიშნა: ბულგარეთი — იტალია 1:0, ბრაზილია — პორტუგალია — 0:0.

II ტურში საბჭოთა ფეხბურთელებმა კვლავ ფრედ ითამაშეს, ამჯერად ინგლისის გუნდთან — 0:0.

ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები მთავარი პრიზისთვის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან 14 ივნისს.

**პარიზი.** საფრანგეთის ქალაქ კრუაში გაიმართა 19 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპისა და აფრიკის 10 ქვეყნის გუნდები.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მოსკოვის „დინამომ" და პორტუგალიის ქალაქ პორტუს „პორტომ". ეს მატჩი პორტუგალიელთა უხეშობის გამო მხოლოდ 15 წუთს გაგრძელდა. პორტუგალიელმა კაბრალმა მძიმე ტრავმა მიაყენა დინამოელ ზუბოვს. მსაჯმა წითელი ბარათი აჩვენა ხულიგანს, მან კი უარი განაცხადა დაეტოვებინა მინდორი. მატჩი შეწყდა, გამარჯვებულად გამოცხადდა მოსკოვის „დინამო", რომელსაც გადაეცა მთავარი პრიზი.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიის „მოზეველი" და იუგოსლავიის „ჰაიდუკი". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა.



ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში

# ძრთდღიანი შესვენების შემდეგ

**ათენი.** განახლდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი და მასთან ერთად დადგა გადამწყვეტი შეხვედრების პერიოდი.

პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. ბრძოლა ჩვენმა კალათბურთელებმა უყურადღებოდ დაიწყეს. განსაკუთრებით სცოდავდნენ დაცვაში. პირველ თხუთმეტ წუთში ჩეხები უფრო მობილიზებული და საბრძოლოდ განწყობილნი ჩანდნენ: ეფექტურად უტევდნენ, ზუსტად ესროდნენ კალათს და რაც მთავარია, აქტიურად იბრძოდნენ ფარქვეშ. მაგრამ მე-15 წუთიდან მოყოლებული საბჭოთა გუნდის მხარეს გადადის ინიციატივა და იგი შეხვედრის ბოლომდე ინარჩუნებს მას.

განსაკუთრებით ეფექტურად ჩაატარეს ჩვენებმა მატჩის მეორე ნახევარი. ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ნაკრების დებიუტანტი მარჩიულონისი იყო, რომელმაც თავისი გუნდის გამარჯვებაში (110:91) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ჩვენი გუნდის მეტოქე ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრები იქნება, რომელმაც მეოთხედფინალში გფრ-ის გუნდს საკმაოდ ადვილად და დამაჯერებლად მოუგო — 107:77. ესპანელთა შორის მიმომხილველები, პირველ რიგში, ვეტერანის სან-ეპიფანიოს თამაშს გამოჰყოფენ. იგი უძლიერესი იყო არა მარტო ამ შეხვედრაში, არამედ ესპანელთა მიერ აქამდე ჩატარებულ ყველა მატჩში.

იმავე მიმომხილველთა აზრით ნახევარფინალური თამაში ევროპის ამ ორ წამყვან კოლექტივს შორის უაღრესად მძაფრი და საინტერესო იქნება. აქებენ რა საბჭოთა კალათბურთელების თამაშს თავდასხმაში, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ დაცვაში გუნდს აქვს გარკვეული პრობლემები და ამან შესაძლოა გადამწყვეტ ეტაპზე იჩინოს თავი.

და მაინც, სპეციალისტთა უმრავლესობა № 1 ფავორიტად საბჭოთა ნაკრებს ასახელებს, რომელიც ამ ჩემპიონატში რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე გამოდის (პირველ რიგში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელს არვიდას საბონისს ასახელებენ).

გუშინ გვიან ღამით დამთავრდა კიდევ ორი მეოთხედფინალური შეხვედრა. თამაშობდნენ: იუგოსლავია — პოლონეთი და იტალია — საბერძნეთი.

• • •

**ესპანეთში** კალათბურთის პირველი პოპულარიზატორი იყო კუბელი ღვთის მსახური ეისებიო მილანი. პირველი ოფიციალური მატჩი აქ 1922 წლის 8 დეკემბერს გაიმართა. ქვეყნის პირველი ჩემპიონია კლუბი „რაიო", რომელიც დღეს აღარ არსებობს, აქაური უძლიერესი კლუბები „რეალი", „ბარსელონა", „ჰუვენტუდ ბადალონა", „კაი სარაგოსა" წარმატებით მონაწილეობენ ევროპის საკლუბო თასების გათამაშებაში. კონტინენტის ჩემპიონატზე ნაკრების საუკეთესო შედეგია 1935, 1973, 1983 წ. წ. მოპოვებული მეორე ადგილი და 1984 წელს ლოსანჯელესის ოლიმპიადაზე დასაკუთრებული ვერცხლის მედლები.

საბჭოთა და ესპანელი კალათბურთელები ერთმანეთს მეოთმეტედ შეხვდებიან. აქამდე შეხვედრი მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა, სამი — ესპანელებმა. სამივე გამარჯვება ბოლო წლებშია მოპოვებული: 1979-ში — 101:90, 1983-ში — 95:94 და 1985-ში — 99:92. ესპანეთის ნაკრები საბჭოთა გუნდისთვის ერთგვარ უხერხულ მეტოქედ იქცა. წინასწარ თამაშებში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვება (104:88) ნახევარფინალურ შეხვედრაში წარმატების გარანტიას როდი იძლევა. ასე რომ, ამჯერად ბრძოლა უკომპრომისო და ძნელი იქნება.

**მერაბ კალანდაძე.**



# ნამდვილი ფიასკო

**გაიმართა მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები.**

**ახალი ზელანდია — შოტლანდია 30:3 (9:3).** მართალია, შოტლანდიელებს არასოდეს დაუმარცხებიათ ახალზელანდიელები, მაგრამ მათ ასეთ ფიასკოს არავინ ელოდა. ბრიტანელებმა მოიგერიეს მასპინძელთა პირველი იერიშები, მაგრამ შემდეგ ახალზელანდიელებმა დიდი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს — მათმა მორკინალებმა აშკარად დაჯაბნეს სტუმრები, ირლანდიელმა მსაჯმა ბერნეტმა მრავალჯერ დააჯარიმა შოტლანდიელები შერკინების ჩაშლის, უხეში თამაშისა და თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევისთვის. ახალზელანდიელთაგან ლელო გაიტანეს ვეთონმა და გალაჰერმა, ღია ნახევარმცველმა ფოქსმა კი 6 საჯარიმოთი და 2 რეალიზაციით უფრო დააწინაურა გუნდი. დამარცხებულთაგან გ. ჰესთინგსმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო.

**ავსტრალია — ირლანდია 33:15 (24:0).** მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დაწყებისთანავე დაშავდა ავსტრალიელთა შერკინების ნახევარმცველი ფარ-ჯოუნზი, მასპინძლებმა 15 წუთში 3 ლელო გაიტანეს (მაქინთაიერი, სმითი, ბერქი), ღია ნახევარმცველმა ლაინაფმა კი სამივე რეალიზაცია და 2 საჯარიმო შეაგდო. თამაშის განახლებისას ლაინაფმა და ირლანდიელმა ქირნანმა ზუსტად დაარტყეს საჯარიმოები, შემდეგ ბერქმა და ლაინაფმა ანგარიში 33:3-მდე გაზარდეს, მაგრამ მალე ბრძოლის სადავეები ირლანდიელებმა იგდეს ხელთ და ორი ლელო გაიტანეს (მაქნელი, ქირნანი). ქირნანმა ორივე რეალიზაცია გამოიყენა.

**საფრანგეთი — ფიჯი 31:16 (19:7).** წაგების მიუხედავად, კომბინაციური თამაშით ფიჯის გუნდმა მოხიბლა მაყურებელი. ფრანგებმა მხოლოდ 75-ე წუთზე ამოისუნთქეს შვებით, როცა გადამწყვეტი ლელო ლაჟისკემ გაიტანა.

**უელსი — ინგლისი 16:3.** „ხუთი ერის პირველობის" წლევანდელი გათამაშების აუტსაიდერების მატჩი საკმაოდ უფერული გამოდგა. უელსელმა მორკინალებმა აშკარად დაჯაბნეს ინგლისელთა თავდამსხმელები, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. გამარჯვებულთაგან თითო ლელო გაიტანეს რობერთსმა, ჯოუნზმა და დევრომ; სორბერნმა შეაგდო ორი რეალიზაცია. ინგლისელმა უებმა ზუსტად დაარტყა ერთი საჯარიმო. აღსანიშნავია, რომ დევრომ შეჯიბრების მეორასე ლელო გაიტანა.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ავსტრალია და საფრანგეთი (შაბათს, სიდნეიში), ახალი ზელანდია და უელსი (კვირას, ბრისბენში).

რენძიუ

# პირველი ჩემპიონატი, პირველი ჩემპიონი

დაიწერა რენძიუს ისტორიის პირველი ფურცელი საქართველოში. წელიწადიც არ არის, რაც სპორტის ეს ახალი სახეობა ჩვენში შემოვიდა, თუმცა მისი არსებობა თითქმის ორმოც საუკუნეს ითვლის. „მარგალიტის ასხმა" — ასე ითარგმნება იაპონურიდან თამაშის დასახელება, მაგრამ გამარჯვებულისთვის ხუთი კოჭისგან შემდგარი მწკრივი უფრო ლამაზი სამკაულია. „ლელოს" მიერ გამოცხადებულ კონკურსში ასზე მეტი ენთუზიასტი იღებდა მონაწილეობას. მათგან 12 უძლიერესმა იასპარეზა თბილისის I ჩემპიონატში. გაიმარჯვა 29 წლის მათემატიკოსმა სანდრო ჯორბენაძემ.

**დიად გერსამია.**

კონკურსი გრძელდება

**გთავაზობთ III ტურის ამოცანების ამოხსნებს:**




დიაგრამა № 7.

თეთრები პირველი და მე-3 სვლით შავებს ქიშს უცხადებენ, შავების პასუხი ერთადერთია — 2 და 4. მე-5 სვლით თეთრების სამიანის (ნახევარქიშის) დახურვა „ა" პუნქტში არ შეიძლება, რადგან შავებისათვის ეს იქნება ფოლი 4X4. თუ შავები სამიანს „ბ" პუნქტში დახურავენ, მაშინ თეთრები „გ" პუნქტში ითამაშებენ და მაინც აიძულებენ შავებს „ა" პუნქტი დაიკავონ, მაგრამ თუ შავები „დ" ან „ე" პუნქტში გადავლენ, მაშინ თეთრები „ა" პუნქტში შექმნიან ღია ქიშს, „ბ" ან „გ" პუნქტს დაიკავებენ და გაიმარჯვებენ.




დიაგრამა № 8.

თუ შავები თეთრების მიერ მე-3 სვლით შექმნილ სამიანს „ა" ან „ბ" პუნქტში დახურავენ, თეთრები „გ" პუნქტს დაიკავებენ, შექმნიან ჩანგალს 3X3 და გაიმარჯვებენ. მაგრამ თუ შავები ორჯერ გამოუცხადებენ ქიშს თეთრებს — ჯერ „დ" პუნქტში, შემდეგ „ზ" პუნქტში, თეთრები „თ" სვლით ჩაკეტავენ ქიშს, რადგან ამ ჰორიზონტალზე იქმნება გრძელი მწკრივი.

ბოლო ტურის წინ საკონკურსო ვითარება ასეთია:

ყველა (8) ამოცანა ამოხსნეს მ. ხაბაზმა და ი. ფირცხალაიშვილმა; 6 ამოცანა — გ. ჯანელიძემ, ზ. თოდუამ, ვ. პოდრუშნიაკმა (ყველა — თბილისი). მათ კვალში მიჰყვებიან ჯ. არხოშაშვილი (ქარელი), დ. სტეფნაძე (ბორჯომი), ა. კაპანაძე, გ. სულთანიშვილი (თბილისი).

გთავაზობთ ბოლო, მეოთხე ტურის ამოცანებს: ორივე ამოცანაში თამაშს იწყებენ და იმარჯვებენ თეთრები.



დიაგრამა № 9.



დიაგრამა № 10.

პასუხები უნდა გამოგზავნოთ ორი კვირის განმავლობაში.

**სანდრო ჯორბენაძე.**

„სპორტპროგნოზის" 22-ე ტირაჟის შედეგები

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 22-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 30-31 მაისს ჩატარდა.

ტირაჟში დაშვებულ იქნა 5.422.873 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (7) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (311) — 529 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის კი (5.545) — 104 მანეთი.

22-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს ამა წლის 19 ივნისიდან 19 ივლისამდე.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს პროფსაბჭოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სპორტული სკოლა აცხადებს 7-დან 12 წლამდე ასაკის მოსწავლეთა მიღებას.** მეცადინეობები ჩატარდება საქართველოს პროფსაბჭოს სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს თბილისის ზღვის ბაზაზე ყოველდღე, 12-დან 20 საათამდე (გარდა ორშაბათისა). ვარჯიშს უხელმძღვანელებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მიხეილ ვესელოვი.

ცნობებისათვის მოგვმართეთ ყოველდღე, 10-დან 12 საათამდე (გარდა უქმე დღეებისა). მისამართი: ა. წერეთლის გამზირი № 95-ა (მძლეოსნობის სასახლე).

**სპორტსკოლის დირექცია.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 11 ივნისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) — **19.30 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.30 (2)**.

**12 ივნისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში — **0.40 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია: 11 ივნისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — **20.00** და „გურია" (ლანჩხუთი) — „შახტიორი" (დონეცკი) — **22.45**.

**საქართველოს რადიო. 11 ივნისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — **21.00** და „გურია" (ლანჩხუთი) — „შახტიორი" (დონეცკი) — **21.45**.

ძვირფასო თბილისელებო!

ბიწვევთ ჩვენს საუკეთესო სპორტულ ბაზებზე, სადაც შექმნილია ფიზიკური მომზადების და ჯანმრთელობის შემდები ჯგუფები:

**ვ. ი. ლენინის სახ. „დინამოს" სტადიონზე** — საერთო ფიზიკური მომზადების, ძალოსნობის, ძიდოობის, სამბოს, რიტმული ტანვარჯიშის;

**ჩოგბურთის სტადიონზე** (სანაპირო, № 2) — ჩოგბურთის;

**ფიზკულტურის სახლში** (ბესიკის ქ. № 4) — რიტმული ტანვარჯიშის;

**გახსნილია გაქირავების პუნქტები:** ჩოგბურთის სტადიონზე შეგიძლიათ იქირაოთ ჩოგბურთის ინვენტარი; ცენტრალურ სტადიონზე — მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მოწყობილობა და ველოსიპედი.

მეცადინეობა ყველა სახეობაში ტარდება გამოცდილ მწვრთნელმეთოდისტთა ხელმძღვანელობით.

ცნობებისათვის მიმართეთ: სპორტკომბინატი „დინამო". წერეთლის გამზირი № 2. ტელეფონები: 95-39-68, 95-82-97.



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**(წერეთლის გამზირი № 2)**

**14 ივნისი ● ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) – „დინამო" (მოსკოვი)**

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 12 ივნისიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 12 ივნისს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება მოგვიანებით, რის შესახებაც ცნობა გამოქვეყნდება.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06953